ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9723088001
თარიღი:29/03/2023

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის ოქმი N-04

დ. ლენტეხი. 22/ მარტი /2023წ

მიმდინარე წლის 22 მარტს დღის 12 საათზე გაიმართა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა. სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 21 (ოცდაერთი) წევრი.

1. **მოწვეული სტუმრებიდან სხდომას ესწრებოდნენ ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მარადი ლიპარტელიანი, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების (სამსახურების) ხელმძღვანელები, მერის წარმომადგენლები თემებში, ა(ა)ი.პირების ხელმძღვანელები და საზოგადოების წარმომადგენლები.**

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატის) ხელმძღვანელი მაყვალა ჩახქსელიანი და დამხმარე სპეციალისტი ანა ლიპარტელიანი.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2022 წელს მერიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერი გია ონიანი/

2. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პირების 2023 წლის სამოქმედო გეგმა-პროგრამების დამტკიცების შესახებ.**

/მომხს: კულტურის სამსახურის მ. ხვისტანი და ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი სოზარ ბენდელიანი/

/თანამომხს: საკრებულოს საფინასო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ლამზირა გუგავა/

3. **არასამაწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სარაგბო კლუბის დაფუძნების თაობაზე გადაწყვეტილების მიზანშეწონილობაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.**

   /მომხს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

4. **სხვადასხვა.**

სხდომის დღის წესრიგთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ სოსო ავალიანმა: მერიიდან შემოსულია წერილი მუაშის ტერიტორიის განაშენიანების პროექტის მოწონების თაობაზე და საკითხი დაემატოს დღის წესრიგს.

დღის დღის წესრიგთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ ყოფილა.

ღია კენჭისყრით

მომხრე - 21 და წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. **მოისმინეს: მერის პირველმა მოადგილემ მარადი ლიპარტელიანმა წარმოადგინა ანგარიში - მერიის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ. აქვე აღნიშნა, რომ მერს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო ხელი შეეშალა და ვერ გამოცხადდა დღევანდელ სხდომაზე. შესაბამისად მას მოუწია ანგარიშის წარმოდგენა. მომხსენებელმა ვრცლად და ამომწურავად წარმოადგინა მერიის ყველა სამსახურის მიერ გაწეული მუშაობა.**

   მომხსენებელს შეკითხვა დაუსვა საკრებულოს წევრმა დალი ტვილდიანმა.

   1. საპილოტე თანხით რომელიუ პროექტებია დაფინანსებული და

   2) სანაღვრე არხები და ჯებირები რატომ არის მხოლოდ 80%-ით შესრულებული.

   მომხსენებელმა განმარტა, რომ მთავრობის განკარგულებით როცა გამოიყოფა თანხა, ამის შემდეგ ხდება ტენდერის გამოცხადება და შესაბამისად გვიან იწყება სამუშაოები. ჩვენი კლიმატური გარემოს გამო პროექტები ხშირად ვერ სრულდება და გადადის გარდამავალში.

   დალი ტვილდიანმა აღნიშნა, რომ სოფ. რცხმელურში ხიდთან შესრულდა სამუშაო, მაგრამ შეიძლებოდა უკეთესად გაკეთებულიყო გასწორხაზოვნება. მომხსენებელმა პასუხად აღნიშნა, რომ ეს არის საკმაოდ მაშტაბური პრობლემა სოფ. რცხმელურში და აუცილებლად უნდა გაკეთდეს მომავალში.

   სხდომის თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი დაეთანხმა მომხსენებელს, რომ ეს საკითხი აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული უახლოეს მომავალში.

   საკრებულოს წევრმა, ჩოლურის თემის მაჟორიტარმა დეპუტატმა გოგა შავრეშიანმა დასვა შეკითხვა, რამდენი იყო სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო თანხა?

   პასუხი გასცა საფინანსო სამსახურის უფროსმა ტახუ ჩანქსელიანმა.

   გოგა შავრეშიანმა აღნიშნა, რომ დიდთოვლობის დროს სერიოზული პრობლემები იყო ზოგიერთ სოფელში, რამდენიმე სოფელი გარემოს იყო მოწყვეტილი და ადგილობრივი ხელმძღვანელობისგან მოსახლეობას დროულად არ მიექცა ყურადღება. ბოლოს მოსახლეობა იძულებული გახდა საკუთარი ხარჯებით გაეწმინდა გზა.

   მერის პირველმა მოადგილემ მარადი ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ ადგილობრივი ხელმძღვანელობა მაქსიმალურად იყო მობილიზებული, მაგრამ იყო უსვი ნალექი და შესაბამისად ზოგიერთ სოფელში მოსახლეობას დააკლდა ყურადღება.

   საკითხთან დაკავშირებით დამატებით განმარტება გააკეთა გიორგი გაზდელიანმა : პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ არ იყო საკმარისი თანხები და მეორე კონტრაქტორმა არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება. ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას ყველა თემში უნდა ჰყოლოდა ტექნიკა. რა თქმა უნდა , ეს ასე არ იყო და ამან გამოიწვია ეს ხარვეზები.

   მერის მოადგილემ აღნიშნა, რომ მომავალში გათვალისწინებული იქნება ეს ხარვეზები და გვექნება უკეთესი შედეგი.

   აზრი გამოთქვა კულტურის ცენტრის დირექტორმა მაყვალა გაზდელიანმა - მან თხოვნით მიმართა ადგილობრივ ხელმძღვანელობას, ყველაფერი გაეკეთებინათ იმისთვის, რომ დროულად დამთავრდეს კულტურის სახლის რემონტი. რომ უწევთ საშინელ პირობებში მუშაობა.

   ადგილობრივ ხელმძღვანელობისგან იყო დაპირება, რომ ეს საკითხი წელს დასრულდება.

   გიორგი გაზდელიანმა წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ანგარიში წარმოდგენილია სრულყოფილად, მოიცავს ყველა სამსახურის მუშაობას და მიმაჩნია, რომ ანგარიში უნდა შეფასდეს დადებითად.

   სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი ანგარიში.

   მომხრე -21

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მერიის მიერ წარმოდგენილი ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ შეფასდეს დადებითად.

2. მოისმინეს: შესაბამისმა კურატორებმა მედიკო ხვისტანმა და სოზარ ბენდელიანმა წარმოადგინეს ა(ა)ი.პირების გეგმა-პროგრამები.

აზრი გამოთქვა - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მევლუდ ლიპარტელიანმა: აღნიშნა, რომ გეგმა- პროგრამების განხილვის პროცესი გრძელდება უკვე სამითვეა, მიეცათ შენიშვნები აიპის ხელმძღვანელებს. შენიშვნები გათვალისწინებულია და წარმოდგენილია გასწორებული სახით.

აზრი გამოთქვა: გიორგი გაზდელიანმა - მან განსაკუთრებით ხაზი გაუსვა ჯანდაცვის აიპს. აღნიშნა, რომ პანდემიის პერიოდში ამ აიპმა შეასრულა ძალიან დიდი სამუშაოები. იდგნენ ადამიანების ჯანმრთელობის სადარაჯოზე . რათქმა უნდა დღესაც აგრძელებენ წარმატებით საქმიანობას, ჩართული არიან სხვადასხვა პროცესებში, მაგრამ აქვთ პრობლემები - სჭირდებათ ტრანსპორტი და შესაბამისად აუცილებელია ჩვენი დახმარება ამ მიმართულებით.

მერის მოადგილემ მარადი ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ აუცილებლად იმსჯელებს ადგილობრივი ხელმძღვანელობა ამ პრობლემებზე.

აზრი გამოთქვა: სკოლამდელი აღზრდის ,,საბავშო ბაგა-ბაღების“ დირექტორმა ცირო ლიპარტელიანმა - მან მადლობა გადაუხადა ადგილობრივ ხელმძრვანელობა თანადგომსითვის და თანამშრომლებისთვის ხელფასების

მომატებისთვის და სთხოვა დახმარებოდნენ ავტრორიზაციის პროცესში ჩართულ ბაგა - ბაღის თანამშრომლების სწავლების ტრენინგების დაფინანსებაში.

მარადი ლიპარტელიანმა, აღნიშნა, რომ ეს საკთხიც იქნება მსჯელობის საგანი.

სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი გეგმა-პროგრამები დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით - მომხრე -21

და წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიდეს წარმოდგელი ა(ა) ი. პირების 2023 წლის სამოქმედო გეგმა-პროგრამები და განისაზღვროს სუბსიდიები შემდეგი ოდენობით:

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პირი ,, გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური განვითარების ცენტრი“- სუბსიდია 103000ლარი;

2. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პირი ,, ლენტეხის თემებში მოსახლეობასთან ურთიერთობის საკონსულტაციო ცენტრი“- სუბსიდია 228000 ლარი;

3. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პირი ,, კომუნალური მომსახურეობა და კეთილმოწყობა “- სუბსიდია 278000 ლარი;

4. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პირი ,, ჯოკია მეშველიანის სახელობის კულტურის ცეხტრი “- სუბსიდია 145 600 ლარი;

5. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პირი ,, ოლეგ ლიპარტელიანის სახელობის ლენტეხის ოლიმპიური მომზადების ცენტრი“- სუბსიდია 73100 ლარი;

6. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პირი ,, საბიბლიოთეკო გაერთიანება “- სუბსიდია 126 300 ლარი;

7. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პირი ,, საზოგადოებრივი ჯანდაცვა“- სუბსიდია 135000 ლარი;

8. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პირი ,, სასპორტო სკოლების გაერთიანება “- სუბსიდია 139 000ლარი;

9. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პირი ,, სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება“- სუბსიდია 880 000ლარი;

10. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პირი ,, ფერმერული მომსახურეობის სერვისცენტრი“- სუბსიდია 85000ლარი;

11. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პირი ,, კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება“- სუბსიდია 478 500ლარი;

12. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პირი ,, ტურიზმის განვითარების ცენტრი“- სუბსიდია 107 500 ლარი;

13. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პირი ,, ლადო მუსელიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი“ - სუბსიდია - 78000ლარი.

3. მოისმინეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის უფროსმა ტარიელ აფაქიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სარაგბო კლუბის დაფუძნების თაობაზე გადაწყვეტილების მიზანშეწონილობაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

საკრებულოს წევრებმა მომხსენებელს დაუსვეს შეკითხვები. მან პასუხი გასცა ყველა შეკითხვას.

აზრი გამოთქვა: გიორგი გაზდელიანმა - გაერთიანებული იქნება ოთხი რაიონი, დაფინანსება იქნება თანაბარი და ამ რაიონები გაერთიანებით წინ წავა რაგბის განვითარება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:

მომხრე -21

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მიეცეს თანხმობა მერს - არასამაწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სარაგბო კლუბის დაფუძნების თაობაზე გადაწყვეტილების მიზანშეწონილობაზე.

4. მოისმინეს: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ სოსო ავალიანმა სხდომის წევრებს გააცნო მერიის განკარგულების პროექტი - თანხმობის მიცემაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის წინადადებაზე ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტში, კლიმატო-ბალნეოლოგიური კურორტ მუაშის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე“.

საკითხის განხილვას მოჰყვა კამათი. სხდომის წევრმა ზურაბ ონიანმა აღნიშნა, რომ მუაშის ტერიტორიები არის კერძო საკუთრებაში და ამ საკითხის განხილვამდე აუცილებელია მოსახლეობასთან შეხვედრები.

ანალოგიური მსჯელობა იყო სხდომის თაავმჯდომარის მოადგილის მევლუდ ლიპარტელიანის მხრიდანაც: მუაშის ტერიტორიები გადანაწილებულია კერძო პირებზე და უმჯობესია ჩავატაროთ შეხვედრა მოსახლეობასთან.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა აღნიშნა, რომ ამ საკითხის განხილვაზე თავი შევიკავოთ დროებით და დავაზუსტოთ თუ რომელ ტერიტორიებზეა მსჯელობა - კერძოა თუ სახელმწიფოსი.

საკრებულოს სხდომა დამთავრდა 14 საათსა და 30 წუთზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი